**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1891


**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი** საყოველთაოდ აცხადებს რომ:

1) ხანგრძლივ-ვადიანს სესხს იძლევა უძრავს ქონებაზე: ტფილისის გუბერნიისა, ერევნისა, ბაქოსა, განჯისა, ქუთაისისა და სოხუმის განყოფილებაში.

2) ხანგრძლივ-ვადიან სესხის გატანა შეუძლიან, ვინც: 1) სახნავ-სათიბსა და საძოვარს ადგილებს დააგირავებს 61 წლითა და 8 თთვით, $54^1/_2$ წ., 48 წ. 8 თ. და $43^1/_2$ წლით და 2) ქალაქის უძრავს ქონებას დააგირავებს 36 წ. 4 თ., 29 წ. 9 თ., $27^1/_2$ წ., 19 წ. 11 თ. და 18 წ. და 7 თთვით.

3) მსესხებელი ვალდებულია გატანილს სესხში ყოველ ექვსის თთვისა ამ თავით გადაიხადოს: თუ $54^1/_2$ წ. $43^1/_2$ წ., $27^1/_2$ წ. და 18 წ. 7 თ. აქვს გატანილი სესხი, $3^0/_0$ სარგებელი; თუ 61 წ. 8 თ., 48 წ. 8 თ. 36 წ. 4 თ., 29 წ. 9 თ. და 19 წ. 11 თ.—$2^1/_2{}^0/_0$,

4) აღებულ სესხის გადასახდელად მსესხებელმა ყოველ ექვსის თთვისა ამ თავით უნდა გადაიხადოს: თუ სესხი გატანილი აქვს 61 წ. 8 თ. და $54^1/_2$ წ.—$^1/_8{}^0/_0$, თუ 48 წ. 8 თ. და $43^1/_2$ წ.—$^1/_4{}^0/_0$, თუ 36 წ. 4 თ.—$^1/_2{}^0/_0$, თუ 29 წ. 9 თ. და $27^1/_2$ წ.—$^3/_4{}^0/_0$ და თუ 19 წ. 11 თ. და 18 წ. 7 თ.—$1^1/_2{}^0/_0$.

5) ყოველ ამას გარდა მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ყოველ ექვსის თთვისა ამ თავითვე საზოგადო კრების დადგენილებისამებრ: თუ სოფლის მამული აქვს დაგირავებული და დამფუძნებელი წევრია—$^1/_8{}^0/_0$, თუ დამფუძნებელი წევრი არის—$^1/_2{}^0/_0$ თუ ქალაქის მამული აქვს დაგირავებული—$^1/_2{}^0/_0$ სულ ერთია, დამფუძნებელი წევრი იქნება, თუ არა. (3—87—3)

## ახალი ამბავი

*** კამერჰერი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარისა ლ. ა-ძე მაღალაშვილი უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

*** საქალაქო საქიმიო ლაბორატორია ამ დღეებში სრულიად მოეწყობა თავისს სადგომში იმ ალაგას, სადაც დღეს საქალაქო გამსესხებელი კასაა. ხორაგეულისა და სანოვაგეს ქიმიურად გამოსარკვლევად გამგეობა გამოიწერს ამ დღეებში რამდენსამე იარაღს.

*** ჩვენც და ადგილობრივმა გაზეთებმაც გამოვაცხადეთ, რომ 1-ლ ივლისის ტირაჟში ოცი-ათასის თუმნის მოგება ტფილისის ვაჭარს, ბ-ნს პორუგალოვს, ჰხვდაო. ეხლა ეს ხმა ტყუილი გამოდგა, როგორც თვითონ ბ-ნი პორუგალოვიც იწერება დეპეშით ბათუმიდგან.

*** გუშინ, ამ თვის 3, საფოსტო და სახალხო მატარებელის № 1 ვაგონში, რომელიც ბაქოში მიდიოდა, სადგურ „პუტას“ ახლოს უცბად გარდაიცვალა ვიღაცა ივანე ელიაზაროვი, რომელიც, როგორც ამბობენ, მოწამლულა, რადგანაც სიკვდილის ჟამს ჩიოდა მუცლის წვაზე. მთელს მატარებელში ერთი ექიმიც არ აღმოჩნდა, რომ ეშველნა ავადმყოფისთვის.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ალიათის ახლოს შემდეგი ამბავი მომხდარა: ამ თთის 2-ს საქონლის მატარებლის №39 უფროსს კონდუქტორს დეგტიაროვს შეუმჩნევია ამ მატარებლის ერთის ვაგონის ალაყზე ვიღაცა მჯდომარე კაცი, რომელიც ბაქოსაკენ მიდენილა. ობერ კონდუქტორი მისულა ახლო ამ კაცთან გასაგებად, აქვს ბილეთი თუ უბილეთოდ მოდისო? პასუხის მაგიერად, უცნობს უკრავს დეგტიაროვისათვის ხელი და გაქანებულ მატარებლიდგან ძირს ჩამოუგდია მე 738 ვერსზე. საბრალო ობერ კონდუქტორი ჩავარდნილა მატარებლის ქვეშ, რომელსაც მარჯვენა ფეხი სრულიად მოუშორებია.

*** ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში კახეთიდგან მოწერილი ამბავი გვქონდა დაბეჭდილი: წრევანდელი აბრეშუმი იმიტომ წახდა, რომ ხალხმა რიგიანად ვერ მოუარაო. ეხლა ამ საგნის თაობაზედ და ამ საქმის უფრო მცოდნე კაცისაგან შემდეგი შევიტყეთ. აბრეშუმის ჭიის თესლი გაუწერიათ ტფილისის სააბრეშუმო სადგურის უფროსისაგან იტალიის ჯიშისა და სუზანის ფირმისა იმ აზრით, რომ ხალხში დაერიგებინათ და ესწავლებინათ აბრეშუმის ხელობა. ხოლო ეს გაწერილი თესლი სნეული გამომდგარა, თუმცა თითქმის ყველას ჯეროვანად მოუვლია და ამ საქმეში გამოცდილის კაცის ხელმძღვანელობითაც, მაგრამ სრულიად უქმად ჩაუვლია მათს შრომას: ჭია ერთბაშად დახოცილა ცახზედ ასვლის დროსა, ასე რომ ნახევარ გირვანქა თესლზე ერთი ფუთი პარკიც არ დამდგარა. საქმე სწორედ ასე ყოფილა, თორემ აბრეშუმი თითქმის ყოველ წლივ მოჰყავთ მაგალითად ჯორჯაძეებს—სოფ. საბუეს, ალმატსა, გრემსა და ენისელში და წრეულს ამათაც-კი სულ მთლად გაჰფუჭებიათ ამ გვარისავე თესლის ჭია და ასს თუმანზე მეტი ზარალი მისცემიათ.

სწორედ სამწუხრო ამბავია ეს ამბავი-ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხალხი გულს იცრუებს ამ ხელობაზედ და მეორეც, სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც ამ საქმეს ჰმეთაურობენ და თავიანთის ფულით იწერენ ხოლმე აბრეშუმის ჭიის თესლს, ჰზარალობენ, რადგან ხარჯს ვეღარ იღვენენ, და ამას გარდა შემდეგისათვისაც ხალხის ნდობასა ჰკარგავენ. ამ საქმეს ასე გულცივად არ შეიძლება მოექცეს კაცი. თესლის გაგზავნა ძლიერ ფრთხილად უნდა მოხდეს და მხოლოდ ისეთი თესლი გაიგზავნოს სოფლად გლეხებისთვის, რომელიც კარგად გასინჯული აქვს და რომლის სიკეთეზედაც დარწმუნებულია.

*** რაჭის მაზრაში, როგორც დეპეშით იუწყებიან, ამ თვის 2-ს, ღამის სამს საათზე, დიდი მიწის ძვრა ყოფილა.

*** კერძო-საეკონომიო საზოგადოებას პეტერბურგიდამ გამოუგზავნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის პროგრამა იმ გამოფენისა, რომელიც მომავალს შემოდგომას უნდა გაიმართოს პეტერბურგში. გამოფენაზე იქნება მეფუტკრეობის ნაწარმოები—წმინდა სანთელი, თაფლი და სხვ.

სამეურნეო საზოგადოებას პროგრამა დაურიგებია სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათათვის ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მხარეს.

*** ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი იზმაილოვი დაეთხოვა მოკლე ხნით და წავიდა ქალაქიდამაო, ამბობს „ნოვოე ობოზრ.“-ი. ამის მოადგილედ გამგეობის მესამე წავრად მოწვეულია კანდიდატი ბ-ნი ბექანოვიო.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში ნაამბობი იყო, რომ ვინმე მიხეილ არაქელოვი შეება ბრძოლაში ლიციის მე-5 განყოფილების ბოქაპოულის თანაშემწეს თავ. მ. ვაჩნაძეს და ამ დროს რევოლვერით სროლაც დაიწყოვო. თუმცა ბევრი ეცადეს იმ

## ფელეტონი

### ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო

(იხ. „ივერია“ № 121)

VI

ასეთს გაჭირებულსა და შევიწროებულს ყოფაში ეხლანდელს დედაკაცს თითქო ერთად-ერთი გზა-ღა დარჩენია, რომ თავი დააღწიოს ათასს ვაი-ვაგლახსა და სრულს გათახსირებას. ეს ერთად-ერთი გზა და ხსნა, იმის აზრით, ჯერ-ჯერობით გათხოვებაა მხოლოდ. ეხლანდელის დედაკაცის აზრით, მხოლოდ ეს სასწაულთმომქმედი ღონის-ძიებაა მოწოდებული, რომ გახსნას მისი შეკრული და დახვლანჯული ბედი და დაიხსნას დედაკაცი ბაბილონის ტყვეობისაგან.

მაგრამ, სამწუხაროდ, არც აქა აქვს დედაკაცს გზა ვარდით მოფენილი და ხშირად აქაც უიმედობა ელის. თანდათან უფრო და უფრო ძნელდება შესაფერის ქმრის შოვნა და საკუთარის ოჯახის მოწყობა; თანდათან უფრო და უფრო მრავლდება, და მრავლდება საკვირველის სისწრაფით, რიცხვი გასათხოვარის ქალებისა, რომელთაც ვერ მოუხერხებიათ დაბინავება და „გაბედნიერება“.

ამისთანა ამბავს შეამჩნევს კაცი არა მარტო ჩვენში, არამედ სხვა, უფრო წინ-წასულსა და წარმატებულს ქვეყნებშიაცა, საცა მათი რიცხვი ბევრად უფრო მეტია. ეს გარემოებაც ცუდი ნიშანია ჩვენის დედაკაცებისათვის. საფრანგეთში, მაგალითად, ეხლა $2^1/_2$ მილიონი დედაკაცია უქმროდ დარჩენილი (ყმაწვილი გასათხოვარი ქალები და ქვრივები), რომელთაც აღარავითარი იმედი აღარა აქვთ გათხოვებისა; გერმანიაში მათი რიცხვი 2 მილიონამდეა, ინგლისში—$1^1/_2$ მილიონამდე, ხოლო პატარა შვეიცარიაში, საცა მკვიდრთა რიცხვი ძლივს 3 მილიონი იქნება, რაოდენობა ამ ნაირ მარტო-ხელ გასათხოვართა, რომელთაც თავის დღეში აღარ ეღირსებათ გათხოვება, 150,000 სულზე მეტია და სხვ.*)

ამ სამწუხარო გარემოების საზოგადო მიზეზად მიაჩნიათ საყოველთაო საეკონომიო გაჭირვება, რომლის გამო მამაკაცს ეძნელება, ცოლ-შვილიანობას მოეკიდოს და იტვირთოს მძიმე ტვირთი მისის გაძღოლისა ისე, როგორც ეხლანდელი დროება მოითხოვს. შესაძლოა, რომ არა მცირედი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში იმ გარემოებასაც, რომელიც შემოწმებულია ყველგან სტატისტიკის მიერ, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში დედაკაცები ცოტაოდნად მეტია მამაკაცებზე. მაშასადამე, არავითარი გასაჭირი და საძნელო საქმეც რომ არ იყოს მოკიდება ცოლშვილიანობისა, ასში რამდენიმე მაინც სამუდამოდ გასათხოვარი დარჩება მარტო იმ მიზეზით, რომ ჯვარ-დასაწერ ყმაწვილ კაცების რიცხვი ნაკლებია გასათხოვარ ქალებისაზე.

ნაანგარიშევია, რომ 20 წლიდამ 25 წლამდე 100 მამა-კაცზე მოდის 104 დედა-კაცი, 25-დამ 30 წლამდე—105 დედაკაცი და სხვ. ისე, რომ რაც უფრო მეტია წლოვანობა, მით უფრო მეტია რიცხვი დედაკაცებისაცა; მაგალითად, 70 წლიდამ 80 წლამდე 100 მამაკაცზე მოდის უკვე 125 დედაკაცი. მაგრამ ჩვენ სულ მცირედი ავიღოთ და ვსთქვათ, რომ საქორწინო ჰასაკის დროს არც ერთი მამაკაცი არ გაურბის ცოლშვილიანობას. მაშინაც-კი გამოვა, რომ გაუთხოვარი და დაქორწილებული დარჩება ყოველს ასს ქალში არა ნაკლებ 4 ქალისა. ეს 4 ქალია კიდეც, რომ მეტნი მოდიან და აუცილებლად გაუთხოვარნი უნდა დარჩნენ. მაგრამ ვინ იქნებიან სახელდობრ ის ოთხნი, ვინ იქნება წერა ამისთანა უბედობისა?

არც ერთი ქალი არ იტყვის, ვინ იცის, იქნება მე მოვხვდე იმ ოთხის უბედურის ქალის რიცხვშიო. იქნება იცოდეს კიდეც ქალმა, რომ დედაკაცები რიცხვით მეტნი არიან მამაკაცებზე, მაგრამ მაინც იმასა ფიქრობს, შესაძლოა ყველა სხვა დარჩეს გაუთხოვარი და იმ ოთხის რიცხვში მოჰყვეს, მე-კი, ჯვარი მეწეროს, ეგ საქმე არ დამემართებაო. ასე ფიქრობს, მაგრამ ხშირად მწარედ სტყუვდება. რაკი ასეა საქმე, რაკი წინადვე ასე ძნელად დასანახია მოსავალი და ბედი გასათხოვარის ქალისა, ბევრად უკეთესი იქნებოდა ქალებისათვის, ტყუილის იმედების მაგიერ, სხვაფრივ ეზრუნათ წინ-და-წინვე თავიანთ მერმისისათვის და აღარ ელოდნათ იმ დრომდე, როცა ხშირად გათხოვება ყოვლად შეუძლებელი-ღაა და ამ გათხოვების ლოდინში ქალს-კი სრულიად გამოჰლამებია წუთი-სოფელი და ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელი დარჩენილა, სრულიად გამოუსადეგარი შექმნილა. მაგრამ მე კარგად ვიცი, რასაკვირველია, რომ ყველა ეს ჩემი კეთილი რჩევა და დარიგება ხმაა მხოლოდ, უდაბნოსა შინა ამაოდ მღაღადებელი და ბევრს, ჯერ ისევ ყმაწვილს, გასათხოვარს ქალს სიცილადაც არ ეყოფა ჩემი ასეთი ლაპარაკი. ხოლო მე მაინც ჩემსას არ ვიშლი და იმ აზრისა ვარ, რომ დედაკაცებმა ერთი რამ არ უნდა დაივიწყონ, სახელდობრ, ისა, რომ ამ ჩვენს შეუბრალებელსა და ვაგლახს დროებაში თან-და-თან უფრო გაუჭირდებათ და გაუძნელდებათ ცხოვრება უზრუნველს „ჩიტებსა და ფრინველებსა“...

ქორწინება, ჩემის აზრით, კავშირია ისეთის ორის ადამიანისა-კი არა მარტო, რომელთაც ერთმანეთი უყვართ, არამედ ისეთებისაც, რომელნიც ერთმანეთის სულით ნათესაობასა, სულით თვისტომობასა ჰგრძნობენ. ესე იგი, ქორწინება კავშირია ორის თანაბრად უფლება-მოსილთა და თანაბრად მოსაქმე-მოღვაწეთა, რომელთაც ცხოვრებაში ერთი და იგივე ნატვრანი აქვთ სანატრელად და ორივეს ერთნაირადვე ძალა შესწევთ ქადილსა, ესე იგი, უნარი და ღონეც ერთნაირად და თანაბრადა აქვთ, რომ ნატვრა-სურვილნი აისრულონ. ის ქორწინება, რომელიც მარტო ხორციელს სიყვარულზეა დაფუძნებული, ისევეა სიმტკიცეს მოკლებული, როგორც მოკლებულია სიმცკიცეს, როგორც საჩოთიროა და შეუწყნარებელი ის ქორწინება, რომელიც მომხდარა ანგარიშით, ფულისა იყოს, თუ სხვა რამისა, და რომელსაც არ ასულდგმულებს არც სიყვარული დაქორწილებულებისა და არც მიმზიდველობა მათ შორის.

*) იხ. „Русскія Вѣдомости“, 1889 წ., № 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანებში, მაგრამ არაქელოვი ვერ შეიპყრეს და მას აქედ დამალული იყო. შემდეგ შეადგინა გუნდი მძარცველებისა და შეუდგა კიდეც ავაზაკობას განსაკუთრებით განჯის მხარეს. პოლიცია გულს-მოდგინედ შეუდგა არაქელოვის დაჭერის საქმეს. ამისათვის ტფილისიდამ გაგზავნულ იქმნა პოლიციის ბოქაული კ. სვიმონოვი, რომელმაც წარსულის თთვის 1-ლს რიცხვს კიდეც მიაგნო არაქელოვსა და იმის თანამოზიარეთა კვალს და— როგორც გაზეთი „ტფ. ლისტოკ"-ი იუწყება დღევანდელს ნომერში—იმავე დღეს განჯისა და ახალ-ბაიაზეთის მაზრების საზღვრებს შუა, მთა ადგილას, მიუსწვრია და შეუპყრია კიდეც. არაქელოვს თან ბერდანის თოფი ჰქონია, რევოლვერი და ხანჯალი, მაგრამ ვერ მოუსწვრია ამ იარაღის ხმარება შეპყრობის დროსა.

ბ-ნს სვიმონოვს არაქელოვი განჯაში ჩამოუყვანია და იქაურს ციხეში ჩავუსვამთ. არაქელოვი გამოტეხილა და უთქვამს, გუნდი მართლა შევადგინეო; ამ გუნდიდამ ჯერ ხანად ორი დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ."-ის რედაქტორ-გამომცემლად მთავრობამ დამტკიცა თავ. ვასილ მიხეილის ძე თუმანიშვილი.

*** ივნისის 3 შუა ბაზარში პავლე ლეჩინის ეტლს ქვეშ მოჰყვა 11 წლის კარაპეტ ავაკიმოვის შვილი და ფეხი დაიმსკა.

*** ამავე დღეს კრწანისში მცხოვრებელმა ივანე ფოფხაძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემს მამასახლისობის ბაღში სადგური გამიტეხეს და ცამეტის მანეთის ქვეშსაგები და სხვა ნივთეული მომპარესო. ქურდნი აღმოჩნდნენ სუბო ხუდაკერდოვი და მაშადი ალი-ოღლი, რომელნიც უკვე შეიპყრეს.

---

## არჩილური შვიდ-თავი,

(სამდროო ამოცანები)

—

ეტყობა ნიჭი კვლევისა და შრომის გულს-მოდგინება;
ფხიზელი ხედვა თან მისდევს, ზედიზედ შეეძინება,
თვალიერობა, სიფრთხილე უყვარს, არ მოეწყინება,
იძევს მკვირცხლად და გულ-დასმით, აქვს ცოდნა, თან მოთმინება,
მატიანეთა წყვდიადში ნათელი მით იფინება,
ენასაც ჩალხს რომ გაჰკრავდეს, ჩვენ უფრო მოგველხინება.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საყურადღებო ამბავს იუწყება კორესპონდენტი გაზ. „Русскія Вѣдомости"-ში იმის შესახებ, თუ რაგულ-უხვნი და ხელ-გაშლილნი არიან ამერიკელნი სამადლო და საქველ-მოქმედო საქმისათვის.

ამ წელს ქრისტეს აღდგომის დღეს მარტო საეპიკოპოსო ეკკლესიების მრევლმა საეკკლესიო თეფშზედ დაჰყარა, არც მეტი და არც ნაკლები, სრული ოთხასი ათასი მანეთი. ასე ბევრი ფული არასოდეს მოგროვებულა და აი ესეც რა შემთხვევის გამო მოგროვდა: ნიუ-იორკის ერთის ფრიად შეძლებულ ეკკლესიის რექტორმა, როცა კათედრაზედ ავიდა, განაცხადა, რომ ჩვენის ეკკლესიის ერთმა გულ-უხვმა მრევლთაგანმა უშველებელი შენობა შემოგვწირა, რათა ნასწავლი ღარიბ ავადმყოფთა მომვლელი და მპატრონებელი ქალები აღვზარდოთო. ამ კეთილის საქმის განსახორციელებლად ეხლავე საჭიროა ორასი ათასი მანეთი, რომელსაც, იმედი მაქვს, შეწევნითა ღვთისათა, აქვე მოვკრეფავთ მრევლს შორისო. რექტორს იმედი არ გამტყუნებია: როცა თეფში ჩამოატარეს მრევლს შორის, ავსებით აივსო ჩეკებითა და სადარბაზო ბარათებით, რომელზედაც ეწერა, ვინ რამდენსა სწირავდა. რექტორის მიერ საჭიროდ დანახულს ორას ათასს მანეთზედ ორჯელ მეტი მოგროვდა.

აი ამ გვარი სხვა მაგალითებიც:

წმ. ბართოლომეს ეკკლესიაში, რომლის მრევლად, სხვათა შორის, ვანდერბილტებიც ითვლებიან, პასტორმა სთქვა, რომ ოც-და-თორმეტი ათასი მანეთი მჭირდება: შეეციელებისათვის სამისიონერო მინდა დავაარსოვო, და იქვე მოგროვდა ორმოც-და-ათი ათასი მანეთი. წმ. სამების ეკკლესიაში იმავ დღეს ორმოცი ათასი მანეთი მოგროვდა, ხოლო ორს კიდევ სხვა შეძლებულს სამრევლოში ოც-და-ათი და ოც-და-ოთხი ათასი მანეთი. ეს ამოდენა ფული აღდგომის დღესასწაულის გამო მოგროვდა, მაგრამ ისეც, კვირა დღეობით, როცა თვით პასტორებიც არასა სთხოვენ მრევლს, ექვსიდგან ოც ათასამდე მანეთი იკრიფება. ამას წინად, კარგად მახსოვს, ზემოხსენებულს წმ. ბართოლომეს ეკკლესიაში კვირა დღეს ოც-და-სამი ათასი მანეთი მოგროვდა, თუმცა მართალია ისიც, რომ ამოდენა ფულის მოგროვება საოცრად და არა-ჩვეულებრივად ეჩვენათ.

ქართველებსაც მაინც მიებაძნათ ცოტაოდნავ ამ ამერიკელებისათვის და ორიოდე წვლილი არ დაეშურებინათ ჩვენის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა" და „დრამატიულ საზოგადოებისათვის", ამ სწავლისა და ხელოვნების ტაძრებისათვის! მაგრამ რა, განა ჩვენს ხალხს დააჯერებთ, რომ სწავლა და ხელოვნება სჯობია „მაშ ისევ და ისევ ღვინოსა" და „ჰარიალესა"-ო?!.

**

გაზ. „Новое Время" და „Гражданинъ"-ი მაინც არ მოიშლიან ებრაელების მტრობასა და ძულებას, თუნდა მეორედ მოსვლასა და წარღვნასაც დღე-დღეზედ ელოდდნენ. სუვორინსა და მეშჩერსკის თითქმის სიზმრადაც-კი ის აგონდებათ, რა ვავნოთ ამ ჩვენ მიერ თვალიდგან ამოღებულს ებრაელებს, სად რა ვუშილთადოთ და სად რა ღვთის რისხვა გამოვუტყვრინოთო. აი ეხლა კიდევ გაზ. „Новое Время"-ში პაწია შენიშვნაა დაბეჭდილი ვიღაც ე. კრიმსკისა სტამბების შესახებ. ამ ბატონს მოჰყავს რა საცენზურო წესდების მე-4 მუხლის 1 შენიშვნა, სადაც ნათქვამია: „ებრაელებს დაუყოვნებლად ეძლევათ ნება სტამბის მართვისა, რათა დაჰბეჭდონ მხოლოდ ებრაული წიგნები" და სხვ., კითხულობს, საქმით ვითომ სრულდება ეს ბრძანება კანონისაო? მაგალითად კიევის გუბერნია ავიღოთ. ამ გუბერნიის ქალაქ

1) ბერლნევში 3 სტამბაა სამივე ებრაელებისა; 2) რადომისლში 1—ურიისა; 3) უმანში 3—ერთი რუსისა და ორი ებრაელებისა; 4) ტარაშჩში 1—ებრაელისა; 5) კანევში 1—ებრაელისა; 6) ჩერკასკში 1—ებრაელისა; 7) სკვირში 1—ებრაელისა; 8) ზვენიგოროდკაში 2—ერთი რუსისა და ერთიც ებრაელისა; 9) ჩიგირინში 1—ებრაელისა; 10) ლიცოვეცში 1 ებრაელისა; 11) დაბა სმელოში 2—ორივ ებრაელისა; 12) დაბა ზლატოპოლში 1—რუსისა; 13) დაბა «ბელოიცერკვოში» 1—ებრაელისა. მთელს მაზრაში სულ 19 სტამბაა და ამათშიაც 16 ებრაელისაა და სამი რუსისა.

რაც არსებობს ეს 16 ურიის სტამბები, არც ერთში არც ერთი ებრაული წიგნი არ დაბეჭდილა, ასოებსაც-კი არ ინახავენ ებრაულს, ბერდიჩევის სტამბებს გარდა, და არც ებრაულად ასოთ-ამწყობი მოიძებნებიან.

ბოლოს ჰკითხულობს:

რა საჭიროა ამდენი ებრაელის სტამბა მაზრებში? სამს გარდა, ყველა ებრაელებს რად ეკუთვნით? განა სასურველია და მოსაწონი ასეთი ამბავიო?

კრიმსკისათვის რომ არც სასურველია და არც მოსაწონი ასეთი ამბავი, ეს აშკარაა, მაგრამ ამასთან აშკარაა ისიც, რომ ყველა სხვისათვის, ვინც ებრაელების მტრობითა და ძულებით აღუშფოთებელი განსჯის და ჩაუფიქრდება ამ საგანს, არც არა-სასურველს იპოვის რასმე და არც არა-მოსაწონს. თუ იმ ებრაელებთან მცხოვრებნი არა-ებრაელნი უნარსა და გამრჯელობას მოკლებულები არ არიან, თითონაც დააარსონ სტამბა და მუშტარი მიიმხრონ, თორემ ქვრივ დედაკაცსავით წუწუნი და ვიშის ძახილი რა საკადრისია, როცა ამ საქმისათვის ყველას გზა ხსნილი აქვს და ყველა ერთ გვარს დაბრკოლებას უნდა შეებრძოლოს აღლოს გასატანად?!

---

## წვრილი ამბავი

—

ამ დღეებში ინგლისის ქალაქ ლიდსის სასამართლომ გაასამართლა ერთი ცხრა წლის ყმაწვილი, მკვლელი თავისის ტოლ-ამხანაგისა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დამნაშავეს ჰსურდა თურმე თავის მიერ მოკლულის ამხანაგის გვამის დამალვა და დასამალი ადგილიც დიდის ოსტატობით და მოხერხებით ამოერჩია. ამ გარემოებამ მსაჯულნი დაარწმუნა, რომ ახალგაზრდა დამნაშავეს აუღელვებლივ, მოფიქრებით ჩაუდენია მკვლელობაო, და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. სხვა რომელი ქვეყანაც უნდა დაასახელოს კაცმა, არას დროს ამ ნაირად არ დასჯიან ასეთს მცირე-წლოვანს დამნაშავეს. მაგრამ ინგლისში სულ სხვაა. ამ სახელმწიფოს ახალგაზრდა დამნაშავეთათვის ძლიერ სასტიკი კანონები აქვს. თუ დამნაშავე შვიდის წლისაზე ნაკლებია, მაშინ არ ასამართლებენ კანონისამებრ, ხოლო თუ იგი 7—14 წლისაა, მსაჯულები იკვლევენ, მოფიქრებით ჩაიდინა დანაშაული თუ არაო, და თუ ჰო გამოვიდა, სრულ-წლოვანისავით ასამართლებენ ახალგაზრდა დამნაშავეს, წინააღმდეგს შემთხვევაში-კი შეღა-

---

სანატრელი და საბედნიერო ცოლ-ქმრობა ის ცოლ-ქმრობაა მხოლოდ, რომელიც ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ცოლ-ქმრობაში ცოლიცა და ქმარიც სრული დამოუკიდებელია და ორივენი თანაბარის ფასისა და მნიშვნელობისანი არიან ერთმანერთისათვის. გულ-წრფელსა და ნება-ყოფლობით შეკრულს კავშირში, რომელიც თანაბრად სასიამოვნოა კავშირის შემკვრელთათვის, ყოვლად-შეუძლებელი-ღაა ვიფიქროთ, რომ რაიმე დამოკიდებულება და დამორჩილება არსებობდეს ერთის მოკავშირესი მეორეს მიერ. როცა ერთმანერთს უკავშირდებიან თანაბარის წარმატებისანი, თუ გონებითა და თუ ზნეობით, თანაბარის ქონების პატრონები, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ისეთნი, რომ ორივეს თანაბრადა აქვს უნარი შრომისა და სურვილი თავიანთ საერთო ოჯახის ინტერესების დაცვისა, ამისთანათა ცოლ-ქმრობა, თუ მეტადრე მათ შორის ის მიმზიდველობაც არსებობს, რომელსაც სიყვარული ეწოდება, ცხადია, ბედნიერი ცოლ-ქმრობა იქნება და ცოლიცა და ქმარიც პატივის მცემელნი იქნებიან ერთმანერთისა.

მაგრამ წარმოიდგინეთ ახლა ისეთი ცოლ-ქმარნი, რომელნიც ერთმანერთზე ძალიან შორი-შორს არიან. ვსთქვათ ამ ცოლ-ქმარში ქმარი განათლებული კაცია, ცოლი „შვილია ბუნებისა", ესე იგი, სრულიად უსწავლელი, ქმარი შრომის მოყვარეა და მხნე, ცოლი—ხელთ-უყარი და ზარმაცი, ქმარი იდეის კაცია და სურვილიცა აქვს ქვეყნის სამსახურისა, ცოლი წვრილმანს ინტერესებს გაჰყოლია და სხვა-და-სხვა ქვენა საქმეებს მისდევს. ანუ ვსთქვათ, ყველა ღირსება ქმრისა ცოლსა აქვს და ყველა უკეთურობა ცოლისა ქმარსა სჭირს. იფიქრეთ ასე და მიბრძანეთ, შესაძლებელია განა, რომ ბედნიერი ცოლქმრობა ჰქონდეთ ასეთს ერთმანერთში მოუთავსებელ, სხვა-და-სხვა ნაირს ცოლქმარსა? რაო, ვითომ რისთვის უნდა დაუკავშირდნენ ამისთანანი ერთმანერთს, რა აზრისათვის, რა მერმისისათვის? ან რამ უნდა დაიცვას მათ შორის საჭირო მშვიდობა და თანხმობა? განა ამისთანა ცოლ-ქმრობაში, გაივლის თუ არა პირველი ეშხი სიყვარულისა, მაშინვე ცოლ-ქმარნი უცხონი არ შეიქმნებიან ერთმანერთისათვის, მალე ცალ-ცალკე არ გაიწევენ და ზურგს არ შეაქცევენ ერთმანერთსა? მართალი უნდა სთქვას კაცმა, როცა ცოლქმრობას ასეთი ბოლო მოელის, ბევრად უკეთესია, ასეთი ცოლქმრობა სულ არ დაწყებულიყო...

აი ამიტომ, ჩემის აზრით, ქორწინებათა შემცირება, რომელსაც ვამჩნევთ ამ ბოლოს დროს ყველგან, აიხსნება არა მარტო იმ მიზეზით, რომ ცხოვრება გაჭირდა და შეუძლებლობა ელობება წინ ცოლ-ქმრობას, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, არამედ უფრო მეტად იმ მიზეზით, რომ მრავალ-გვარის საისტორიო ვითარების წყალობით დიდი განსხვავება ჩამოვარდა ამ ჟამად მამაკაცსა და დედაკაცს შორის.

ასეთი განსხვავება, მდედრთა და მამრთა დიფერენციაცია, გაძლიერებულია უფრო, როგორც მოგეხსენებათ, მაღალს საზოგადოებაში. მდაბიო, მუშამა და მშრომელმა ხალხმა ეგ განსხვავება არ იცის. ქორწინება მცირდება მაღალს საზოგადოებაში და ხალხში-კი ამისთანა ამბავს ვერ შეჰნიშნავ, თუმცა ზოგიერთი პუბლიცისტები და სწავლულნი უქადაგებენ კიდეც ხალხს, თავი შეიკავეთ, ნუ ეტანებით ქორწინებასა და ცოლ-ქმრობასაო. ინგლისში სტატისტიკა ქორწინებათა ცხადად ამტკიცებს ამ გარემოებას. ეს სტატისტიკა ჰმოწმობს, რომ მუშა კაცნი, თუმცა დიდად ღარიბნი არიან, არა თუ ერიდებიან ცოლქმრობას, არამედ სხვებზედ ადრე ეკიდებიან ცოლშვილიანობას. ცხადად არა სჩანს განა აქედამ, რომ უკეთუ მიზეზი ქორწინებათა სიმცირისა სიღარიბე და გაჭირვება იყოს, ეგ ამბავი უპირველეს ყოვლისა უნდა შეგვენიშნა გაძლიერებით ხალხში, მუშათა შორის, იქ, სადაც სიღარიბე და უქონელობა უფრო მეტია და უფრო მწვავე. თვით საქმე და ციფირები სტატისტიკისა-კი სრულიად სხვას ამტკიცებს.

ცხადია, რომ ასეც უნდა იყოს. ხალხში ქორწინდებიან ისეთნი, რომელნიც თანაბარის ერთგულობით მუშაობენ თავიანთ საერთო ოჯახის საკეთილდღეოდ. ამისთანა ცოლქმრობაში ცოლი ტვირთი-კი არ არის ქმრისთვის, ისეთი ტვირთი, რომელიც წელსა სწყვეტავს და სისხლს უშრობს ქმარსა, პირ-იქით, ცოლი ისეთივე მშრომელი წევრია ოჯახისა, როგორც თვით მამაკაცი. ამიტომ მუშა-კაცი როდი ერიდება ცოლ-შვილიანობის მოკიდებას, რადგანაც დედაკაცი აქ ის საფთხობი არ არის, რომელსაც ვერ მიეკარები, თუ ან გულადი არა ხარ, ან თავ-ქარიანი და დაუდევნელი. აქ დედაკაცი ყოვლად საჭიროა, ოჯახი აუცილებელია, მეტადრე სოფლად, მხვნელ-მთესველს ხალხში, რომლის მეურნეობა ვერას გზით ვერ წავა იოლად უდიასახლისოდ. დიასახლისი აკეთებს იქ ისეთს აუცილებელს სამეურნეო საქმეებს, რომელიც სოფლის წარმოების ბუნება და თვისებაა. აქ, ქმრის აზრით, ცოლი უკესი მეგობარია და თანაშემწე, შვილები ღვთის წყალობაა და არა წყევლა, იმიტომ რომ აქ შვილები მალე ახერხებენ მუშაობას და მით დიდად ჰშველიან ოჯახს. ერთის სიტყვით, სახლში ყველა თავ-თავისს საქმეს აკეთებს და ამიტომ ყველანი ერთნაირად საჭირონი არიან: ქმარიცა, ცოლიც, შვილებიცა; ყველა თავ-თავის ღონისა და შეძლებისამებრ ჰმატებს რასმე ოჯახს. რა გასაკვირველია განა ამის შემდეგ, რომ ასეთი საოჯახო კავშირი მტკიცეც არის, სასურველიცა და სასიამოვნოც იმათთვის, ვისაც იგი კავშირი შეუკრავთ. ან ის რაღა საკვირველია, რომ რაკი სხვანი, სოფლის მკვიდრნი ამისთანა მაგალითსა ჰხედავენ, ისინიცა ცდილობენ, კი არ გაურბოდნენ ცოლ-ქმრობის უღელს, როგორც სჩადიან მაღალის საზოგადოების წევრნი, არამედ, რაც შეიძლება, მალე მოეკიდნონ ცოლ-შვილიანობას.

სრულიად სხვასა ვხედავთ ესრედ-წოდებულს კულტურულს საზოგადოებაში. აქ დედაკაცი მწარმოებელი-კი არა, მფლანგავი არსებაა. იმის მაგიერ უთუოდ სხვა ვინმე უნდა მუშაობდეს. გათხოვებამდე—დედ-მამა გათხოვების შემდეგ — ქმარი. ვინც იმის მაგიერ მუშაობს, ცხადია, ერთი-ორად და ერთი სამად უნდა მუშაობდეს. რა თქმა უნდა, რომ ყველას არ შეუძლიან ასე მუშაობა. ბევრი არც ინდომებს და იტყვის: უკეთესია ჩემი ძალა და ღონე სხვა, უფრო კარგს საქმეს მოვახმარო, ვიდრე ვაცხოვრო ისეთი არსება, რომელიც დედაკაცია მხოლოდ და სხვა არაფერი ქვეყნისათვისაო. ამისთანა საზოგადოებაში ცოლი დიდი ცომია, დიდი და მძიმე ტვირთია, ქორწინება ძნელად გარდასაწყვეტი საქმეა,

გათით. ეს ხომ ესეა, მაგრამ 16 წლისაზე პატარასთვის რომ სიკვდილი მიესაჯოთ მსაჯულებს, ამ ნაირი ამბავი დიდი ხანი-კი არა, მგონი ჯერ არას დროს არ მომხდარა ინგლისში ამის მეტად.

— ინგლისისავე ქალაქს გენისლევში მოხდა შემდეგი ამბავი. ლომების მწვრთნელი ბრიჯემანი, კორდონად წოდებული, ყოველ დღე ჰმართავდა წარმოდგენას, მაგრამ ეხლა-კი თან გადაჰყვა თავისს ხელობას. ერთს დღეს წარმოდგენაზე ხუთი ლომი უნდა გამოეყვანანა, მაგრამ ერთი მათგანი ურჩობდა და არ გამოდიოდა ყაფაზიდგან. ეს ლომი ყველაზე დიდი შავ-ფაფარიანი ლომი იყო აფრიკიდგან მოყვანილი, იჯდა ერთს კუნჭულში, ადგილიდგან არ იძვრებოდა და ჰლამობდა ყოველს წუთს, პატრონს შეჰკარდნოდა, მაგრამ კორდონა შეაცქერდებოდა ხოლმე და გააჩერებდა. წარმოდგენა რომ გათავდა, პატრონმა ოთხი ლომი უკანვე ყაფაზაში შეიყვანა და ამ დროს როგორღაც მცირე ხნით თვალი მოაშორა ურჩს ლომსა. იმანაც იდროვა, ეცა კორდონას, წააქცია და ბჭყალები ჩაუჩირა გულში. დაიყვირა თუ არა, მიშველეთო, გამოცვივდა ყაფაზიდგან დანარჩენი ოთხი ლომი და შეებრძოლა ამ მეხუთეს. საშინელი ომი გაიმართა ლომებს შორის. კორდონამ იდროვა და თავი დააღწია. ამ დროს კორდონას თანაშემწეებმა მოიტანეს გახურებული რკინის კეტები და იმითი დააშინეს ლომები. კორდონა საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ვეღარა უშველეს-რა: ჭრილობამ თან გადაიტანა.

— ბელგიის ქალაქს სედპეტში ერთმა მდიდარა მემამულემ ქალი გაათხოვა და ქორწილში 70-მდე კაცი დაიპატიჟა თუ ნათესავები და თუ ნაცნობები. მშვენიერი სადილი ჰქონდათ, მაგრამ გაათავეს თუ არა პურის ჭამა, ყველამ მაშინვე იგრძნო, მოვიწამლეთო. ასტკივდათ თავი, დაუწყოთ წელმა ტეხა და პირ-საქმობა აუვარდათ. შეატყობინეს ადგილობრივს ექიმებსა და ყველანი მაშინვე იქ დაიბადნენ; რაც ხელიდგან გამოუვიდოდათ, ყველაფერი ღონის-ძიება და წამალი იხმარეს, მაგრამ მომეტებული ნაწილი მოწამლულთა ისევ ლოგინად წევს. ექიმებს ეშინიანთ, ბევრს მათგანს აღარავერი აღარ ეშველება და სხვათა შორის ახლად ჯვარდაწერილთაცაო. თუმცა ფიცხელი გამოძიებაა ამ საქმის თაობაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავერი ვერ შეუტყვიათ და ვერ გამოუკვლევიათ.

— ავადმყოფებს და მეტადრე ისეთს ავადმყოფებს, რომელთაც ჭკუაცა აქვთ შერყეული, სხვა-და-სხვა საგანი მოელანდებათ ხოლმე. ეს ლანდი ათასნაირია— თვით მოლანდებულის საგნების გვაროზით, მაგრამ აქნობამდე სამკურნალო სამეცნიერო წიგნებში იშვიათად იხსენიება, რომ კაცს თავისივე თავი მოჰლანდებოდეს და წინ გამოჰცხადებოდეს. ამას წინად-კი პარიჟის საბიოლოგიო საზოგადოებაში მკურნალმა ფერემ წაიკითხა თავისი მოხსენება და რამდენიმე მაგალითი უჩვენა ამ გვარის მოლანდებისა.

ფერი ამტკიცებდა, რომ თავისის თავის მოლანდება უფრო ხშირადა ხდება, ვიდრე ექიმებს ჰგონიათო. ამის საბუთად ფერემ შემდეგი სთქვა. შუა გერმანიისა და აღმოსავლეთ ქვეყნების კუნძულების ხალხს ერთი ლეგენდა აქვთ, ვითომ თუ კაცს თავისი თავი მოელანდა, ეს იმის ნიშანია, რომ მოკვდებაო. ცხადია, ამ ხალხს სცოდნია და არა ერთი და ორი მაგალითი ან უნახავს და ან გაუგონია თავისის თავის მოლანდებისაო.

„ერთხელ სოფლიდგან ნელ-ნელა მივდიოდიო—სწერს გამოჩენილი პოეტი გეტე: და ერთი მხედარი დავინახე, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა. როდავაკვირდი, ის მხედარი სწორედ მე ვიყავი. ბოლოს ძალა დავატანე ჩემს თავსა და მოლანდებული ჩემი თავი მოვიშორეო“.

საფრანგეთის პოეტის ალფრედ მიუსსის შემდეგი ლექსი შედგება ამ გვარისავე მოლანდებისა. ამ ლექს სათაურად „დეკემბრის ღამე“ აწერია და შინაარსი ესაა: სადაც ან მილი განვიზრახე, ან და-საგნებს, რომ დავიწყებას მივცემოდი, ყველგან ჩემს გვერდით ფენილს გზაზე წინ მიხვდებოდა ვიღაც საწყალი უბადრუკი, ჩემი მსგავსი, როგორც ღვიძლი ძმაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ეს ორს კვირაზედ მეტია, რაც ქალაქში ყველი ძლიერ ცოტა მოაქვთ და ხანდახან სრულიადაც ვერ იშოვნით მეიდანში, რადგან ქალაქის ჩარჩებმა პირობა შეჰკრეს, ერთად გადიან ქალაქს გარედ, მიდიან სოღანლუღს, თელეთს, კოდას, არახლოს და სხვა სოფლებში, ერთბაშად ყიდულობენ ყველს, ჩამოაქვთ მალვით და ისე ასაღებენ. ყოველ დღე მოქალაქენი გროვდებიან მეიდანზედ და ჩივიან, რა ამბავია, ყველი რომ არ მოაქვთ, და ან რა არის მიზეზი, რომ რაც მოდის, იმის ფასმაც ასე მაღლა აიწიაო. აი, ჩემის აზრით რა საშუალებას უნდა მიჰმართოს ქალაქმა, რომ სიიაფეც იქმნეს და ბევრი ხორაგეულობაც შემოდიოდეს სოფლებიდგან ქალაქში. 1) ქალაქის გამგეობამ უნდა სთხოვოს გუბერნატორს, მიიწეროს მაზრის უფროსებთან, რომ სასტიკად აკრძალონ სოფლად ქალაქის ჩარჩებისაგან რისამე ყიდვა, ესე იგი ჩარჩებს სულ ნუ შეუშვებენ სოფელში სავაჭროდ, თორემ ისინი წინდაწინ ბეს მისცემენ, დაარიგებენ, მკირად დააფასონ ქალაქში თვიანთი ნაწარმოები და, როცა იმ ფასს არავინ მისცემს, რაც საქონელი არა ღირს, მერე ის საქონელი ისევ ბეის მიმცემს დარჩება, თორმეტს საათს შემდეგ. 2.) ქალაქის ყველა გზაზედ, საიდგანაც შემოაქვთ ყოველ გვარი სოფლის ნაწარმოები, დააყენონ დღე და ღამ დარაჯი, რომ იმათ სოფლიდგან შემოტანილ ხორაგეულება გადასცენ მასლობელ პოლიციის მოხელეს, დაინიშნოს პოლიციის მოხელის ბლიასის № და ისიც, თუ რამდენი რა გადასცა, და მით ძალა დაატანონ, რომ პირ-და-პირ მეიდნებში გაიტანონ. დარაჯები იწოდებოდნენ სავაჭრო პოლიციის დარაჯებად. ჰქონდეთ რამ ნიშანი და არა ჰშორდებოდნენ თავიანთს ადგილს, იცვლებოდნენ ისე, როგორც სხვა სამასხურის დარაჯნი იცვლებიან და ისე იყვნენ თავიანთს ადგილებში დაბინავებულნი, როგორც რკინის გზების დარაჯები არიან; 3) ქალაქის პოლიციას დაავალონ, ყოველ დღე გაჩხრიკონ ხოლმე რამდენჯერმე თავ-თავისს განყოფილებაში ქარვასლები, სადაც ჩამოხდებიან ხოლმე სოფლელები, და გასასყიდად შემოტანილი ხორაგეულობა პირდა-პირ წაალებინონ მეიდანზე. 4.) დააყენონ დარაჯი ქალაქის რკინის გზის სადგურსა და სატიკეებზეც, რომ სოფლიდგან შემოტანილი საწოვაგე არ ჩაუვარდეს ჩარჩებს (შემოდგომაზედ ტივით ბევრი ხილი და სხვა მოაქვთ ქალაქში); 5) ხელ-წერილი ჩამოართვან ყველა ქარვასლის მოიჯარადრეს, რომ იმათ მალვით არ გაეყიდვინონ სოფლელებს ქარვასლაშივე საქონელი ჩარჩებსა და ან სხვა ვისმეზედ. 6) ნუ მისცემენ ბაზაზებს, მეხილეებს და სხვა მოვაჭრე ხალხს ნებას, დაიჩემონ სოფლიდგან ჩამოტანილი გასასყიდი ხორაგეულება, ჩემიაო, როგორც ეხლა სჩადიან ზოგიერთნი და ამით სარგებლობენ; 7) მეტად საჭიროა, დააწესონ ნიხრი ყველისა, რადგან ყველი დიდ-ძალი მოდის და დიდს ხმარებაშია. ეს ზომები თუ იქმნა მიღებული და თვალ-ყურიც კარგად ადევნეს, ჩემის აზრით, ტფილისში ყოველ გვარ სოფლის ნაწარმოების სიიაფე ბევრად მეტი იქნება, ვიდრე ეხლა არის. მომტანიც ძალე გაასაღებს თავისს საქონელს, არ გაიძარცვება ჩარჩების ათას გვარის მანქანებით, მოტყუებას სამუდამოდ გადაურჩება და შინ მშვიდობით მივა და მოქალაქეთაც დიდი შეღავათი ექმნებათ. უამისოდ მომტანი, როგორც ჩაუვარდება კინტოებს, მაშინვე შეაძლევენ იმდენს ფასს, რამდენსაც გამყიდველი არ მოელის, მიჰყავთ თავიანთს ბინაზე და ყალბის სასწორებით უწონავენ საქონელს. გარდა იმისა, რომ ყველას ყალბი საწონი და სასწორი აქვს ჩუმად ცალკ-ცალკე შენახული, სასწორის ქვეშაც კიდევ ქვები აქვთ დაკიდებული. სოფლის კაცი იშვიათად გამოერევა ისეთი გამოცდილი, რომ მიუხვდეს. ეს კიდევ არაფერია: როცა ფასზე მორიგდებიან, ახლა ფულებს უჭერენ, ბევრსაც სცემენ, შემდეგ ფულებს განგებ ჯიბგირების დასწრებით უთვლიან და ბევრჯელ ისეც მოხდება ხოლმე, რომ ის ფულები ჯიბგირების შემწეობით ისევ მყიდველს კინტოს უვარდება ხელში, უკეთ რომ ვსთქვათ, ფულსაც იბრუნებს მყიდველი და საქონელსაც ჰყიდულობს. ამასაც დავსძენ, რომ კარგი იქმნება დარაჯების ზედამხედველობა სავაჭრო პოლიციის ცხენოსანს მოხელეს მიანდონ; ქალაქ გარედ სიარული ცხენით უფრო ადვილია, ვიდრე ფეხით.

ტფილისის სავაჭრო პოლიციის ზედამხედველი ისიდორე იოსავა.

## დეპეშა

3 ივლისს

**პეტერბურგი.** დღეს დაასაფლავეს თავადი ვლადიმერ ანდრიას ძე დოლგორუკოვი. მოსახსენებელს წირვასა და პანაშვიდზე წმ. ხარების ეკკლესიაში, სადაც რკინის გზის სადგურიდგან მოასვენეს მიცვალებულის გვამი, დაესწრნენ: დიდნი მთავარნი: ვლადიმერ და ალექსი ალექსანდრეს ძენი, მიხეილ ნიკოლოზის ძე და თავადი გიორგი მაქსიმილიანის ძე რომანოვსკი ჰერცოგი ლეიხტენბერგისა. პანაშვიდის შემდეგ მათ უმაღლესობათ გააცილეს მიცვალებული სამგლოვიარო ეტლამდე.

**გეიდელბერგი.** კნეინა მილენა ჩერნოგორიელის ოპერაციამ კარგად ჩაიარა. დღეს კნეინა უკეთ არის.

დიდი მოვალეობაა. ამიტომ ყველა სცდილობს, გადასდოს როგორმე ეს საქმე სხვა, უფრო მარჯვე დრომდე... ის ფასი, რა ფასითაც უნდა იყიდოს კაცმა მაღალს საზოგადოებაში სულ მცირე საოჯახო სიამოვნება, ისე დიდია და ამასთანავე ისე უცნაური, რომ ჰბადავს ერთი-ორად მეტს უცნაურობას თვით დედაკაცისათვის: ერთსა და იმავე დროს აქ დედაკაცი „მბრძანებელიც“ არის (უცნაური ამბავია, ცხადია) „მონაცა“ (ეს კიდევ უფრო უცნაური ამბავი). „მბრძანებელია“ იმიტომ, რომ თვითონ არა შრომობს და არასა ჰმატებს ოჯახს, თხოვნით-კი ყველაფერსა თხოულობს თვისდა სასიამოვნოდ; მონაა კიდევ იმიტომ რომ, ასე თუ ისე, მამაკაცის სრულს დამოკიდებულებაშია და მამაკაცს ამის გამო შეუძლიან, როგორც თავისი ნებაა, ისე ათამაშოს.

ძველად კიდევ ამ გაჭირვებულს ყოფაში დედაკაცს, ცოტად თუ ბევრად, მზითევი ჰშველოდა. ახლა მზითევი სასაცილო საქმედ მიგვაჩნია და ხშირად ძალიან სამართლიანადაც. მაგრამ მზითევს მაშინ თავისი საფუძველი ჰქონდა. თუ დედაკაცს უნდოდა, რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო ოჯახში, თავის მხრითაც უნდა საკუთარი წილი შეეტანა ან ღვაწლისა და შრომისა, ან არა-და მზა-მზარეულის ქონებისა და დოვლათისა მაინცა. ეს შეტანილი ქონება იმისი თავნი იყო და ამ თავნის კანონიერ სარგებლის მოთხოვნა მუდამ შეეძლო. ამ თავნის წყალობით დედაკაცი ფიქრობდა, რომ მე სხვის ლუკმაზე არა ვარო და ამიტომ არც მადლობა მმართებს, არც მორჩილება ჩემის მაცხოვრებლის წინაშეო.

ზოგიერთს პირვანდელს ერში, რომელსაც იმ წარმატებამდე მიუღწევია, რომ ერთ-ცოლობა შემოუღია ჩვეულებად, საქმრო ჰყიდულობს თავისს საცოლოს და საცოლოს დედ-მამას ფასს აძლევს, ურვათს უხდის. ცხადია, რომ აქ დედაკაცი ნივთია მხოლოდ, და ამის შესაფერად, ისეც ეპყრობიან, როგორც ნივთსა და ფალასს. გადის დრო და ურვათის მაგიერ სულ სხვა ჩვეულება შემოდის, სახელდობრ, მზითევი. მზითევს საქმრო-კი აღარ იხდის, არამედ საცოლო, ესე იგი, მისი დედ-მამა. ამის გამო დედა-კაცი'ს მდგომერეობა ქმრის ოჯახში ახლა ბევრად უკეთესია, რადგან მზითიანს ქალს ცოტა რამ საკუთრება მაინცა აქვს და ამიტომ იმედიანად არის და უფრო დიდი გული აქვს. ამ ხანად-კი ჩვენ ისეთს დროსა ვსცხოვრობთ, როცა ძველი ჩვეულება ჰქრება და მის მაგიერ ახალი მხოლოდ ნელ-ნელა შემოდის. მზითევი დღეს ძველი ამბავია, წარსულთა დროთა უშნო ნაშთია და ამიტომ საკადრის საქმედ აღარ არის მიჩნეული.

საქმე დღეს ასეა და დედაკაცი-კი ამასობაში არა ფიქრობს იმასა, თუ, რომ ვთხოვდები, რაღა მიმაქვს მაშ ქმრის ოჯახში, ჩემის საკუთარის თავის მეტიო?

მზითევი უარ-ყოფაა ადამიანის ღირსების დამამცირებელის „ურვათისა“. ხოლო, რაკი ამ ჩვენს დროში მზითევსაც ისე უცქერიან, როგორც დედაკაცის ღირსების დამამცირებელს ჩვეულებასა, საჭიროა, მზითევის მაგიერ, სხვა რამ, უფრო ღირსეული და მაღალი მზითევი გაიყოლოს თან გათხოვების დროს დედაკაცმა. ასე უნდა მოიქცეს დედაკაცი, თუ მართლა სამძიმოდ მიაჩნია დღევანდელი თვისი დამოკიდებული მდგომარეობა. დიაღ, მზითევი დაძველდა და ახლა დედაკაცმა, ამ მზა-მზარეულის, მკვდარის თავნის მაგიერ, რომელიც ამასთანავე ძლიერ მალე და ადვილადაც იხარჯება, უნდა მიიტანოს თავის ქმრის ოჯახში თავნი უკვდავი, მუდამ ცოცხალი და მუდამ სარგებლის მომცემი, ესე იგი წარმატებული ჰკუაგონება, ინტელიგენტობა და უნარი გათვალისწინებულის, ცნობიერის შრომისა.

დიპლომატებმა ერთი ჭეშმარიტი აზრი გამოსთქვეს. აი რა აზრია ეს აზრი: თუ მშვიდობიანობა გსურს, მზად იყავ საომრადაო. შეუბრალებელი, გულ-ქვავი აზრია, მაგრამ ეხლანდელს ცივილიზაციას ისეთი ერთურთის ბრძოლისა და ომის თვისებახასიათი აქვს, რომ ზემოხსენებულის აზრის ჭეშმარიტებას ბევრს რამეში იგრძნობს კაცი დღეს. ასე გასინჯეთ, მისს სიმართლეს შეჰნიშნავთ ერთისა და იმავე საზოგადოების წევრთა ცხოვრებაშიაც-კი. სამწუხაროდ, ცხოვრება ომიანობაა—ვერ დავფარავთ ამასა, ხოლო კანონები ომიანობისა მეტად შეუბრალებელი და ულმობელი კანონებია. ცხოვრებაში მოუმზადებლად შესვლა ცალიერის, გაშიშვლებულის ხელებითა და გულ-მკერდით ისეთივე უგუნურებაა, როგორც ომში ჩარევა უიარაღოდა და უსაჭურველოდ.

დედაკაცი ხშირად სჩივის ხოლმე, რომ საზოგადოდ ბედი გვეკიდება უსამართლოდ და კერძოდ—მამაკაციო. წინდაწინვე შეიძლება დარწმუნებითა სთქვას კაცმა, რომ ეგ უსამართლობა არ გაჰქრება იმ დრომდე, ვიდრე დედაკაცნი ისევ ისინი იქმნებიან, რანიც დღეს არიან, ესე იგი, უმწეონი და შეუჭურველნი ცხოვრებაში, და, ვიდრე თვითონვე არ იზრუნებენ თავიანთვის, ესე იგი, იმისთვის, რომ იშოვონ, შეიძინონ ის იარაღი, რომლის შემწეობითაც შეეძლოთ გაუმკლავდნენ და შეებრძოლონ ცხოვრების მრავალ გვარს განსაცდელსა. ბავშვობა იქნება ვიფიქროთ, რომ სამართლიანობა თვითონ, ჩვენ დაუხმარებლივ დამყარდება ქვეყნიერებაზეო. თვითონ ეგ აზრი, რომ უფრო სამართლიანი იყოს ერთმანერთობა კაცთა შორის ამ წუთისოფელში, შედეგია გონების მუშაობისა, ფიქრისა, ხშირად ძალიან მედგარისა და სამძიმოსი; ხოლო განხორციელება და ასრულება მაგ სამართლიანობის იდეალისა ხომ უფრო სამძიმო მუშაობასა და გარჯასა თხოულობს. ხოლო ვინც ერიდება, ვისაც ეშინიან ასეთის შრომისა და გარჯისა, იმას მაშ ან არ ესმის, რა არის ის სამართლიანობა და იდეალი სამართლიანობისა, ან სრულიადაც არ უნდა მისი გამარჯვება.

ევროპაშიაცა და რუსეთშიაც დედაკაცებმა დიდი ხანია შეიგნეს ეს მარტივი ჭეშმარიტება და ფრიად მხნედ დაიწყეს დაცვა თავიანთ უფლებათა. მხოლოდ ჩვენში ჰგონებენ ჯერ კიდევ ზოგიერთი გულ-უბრყვილონი, რომ ეს საქმე „კავალრულად“ გადაწყდებაო, რომ დედაკაცს შეუძლიან იჯდეს თავისთვის გულ-ხელდაკრეფილი, ზღაპრის მზეთ-უნახავის ქალივითა და ელოდდოს თავისს დამხსნელს მზე-ჭაბუკსაო. მე-კი მგონია, რომ ესეთი ლოდინი მეტად დიდხანსაც გასტანს და ტყუილა-უბრალოდ გულსაც გაუწყალებს ადამიანს: ცხოვრება როგორღაც ცოტა უფრო ნაკლებად ზრდილობიანია, ვიდრე „დამსკი კავალრები“ და თავის საქმეებსაც ისე არ გადასწყვეტავს ხოლმე, როგორც მაღალის საზოგადოების ჭეშმარიტი ზრდილობა და თავაზიანობა მოითხოვს.

(დასასრული იქნება)

გ. მაიაშვილი

## პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7, 28 |
| ტამოჟნის კუპონები . | — „ | — „ | 146¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1, 05 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 244 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 225 |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 211¾ | — „ | 210¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# განცხადებანი

## მ. მურტაგი

კვლავ განაგრძობს ინგლისურ ენის სწავლებას ზაფხულში: კვირაში ოთხს დღეს კოჯორში და სამს დღეს ტფილისში. რამდენიმე თავისუფალი საათი კიდევ დარჩა. თავ-მდებია იმისა, რომ მოსწავლეს კარგად გამოთქმას შეასწავლის.

ადრესი: ტფილისში—ლაბორატორის ქუჩაზე, წურინოვის სახლის ეზოში, კოჯორში—„კოპპის“ სასტუმროში. (3—85—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

1891-ის წლის პირველის ენკენისთთვიდგან იხსნება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში (რომელიც შესდგება ამჟამად ოთხის მოსამზადებელის და ორის პროგიმნაზიულის კლასისაგან) **მესამე პროგიმნაზიული კლასი.**

სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველის, მეორის, მესამე და მეოთხე კლასისთვის, რეალურ სასწავლებლის პირველ კლასისთვის და კორპუსისათვის. ქართულს ენას გარდა, სკოლის პროგრამმა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამმას.

მომავალ ენკენისთვისათვის სკოლაში არის პანსიონერებისსა და გარეშე მოსიარულეთათვის სულ 81 ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—30, მეორე განყოფილებაში—10, მესამე განყოფილებაში—7, მეოთხე განყოფილებაში—7. პირველს კლასში—10 და მეორე კლასში—17.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მხოლოდ რვა ვაკანსია არის, რომელთაგან სამი საზოგადოების სრულს ხარჯზედ არის და ხუთი საზოგადოების ნახევარს ხარჯზედ. 73 ვაკანსია არის გარედგან მოსიარულეთათვის.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, ის არაფერს არ იხდის; ნახევარს ხარჯზედ მიღებულს-კი გადაჰხდება წელიწადში ათი თუმანი.

გარდა ამისა პანსიონში მიიღებიან თავისს საკუთარს სრულს ხარჯზედ მსურველნი, რომელთაც წელიწადში ოც-ოცი თუმანი უნდა გადაიხადოს.

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველს განყოფილებაში | მიიღებიან ყმაწვილები | არა უმეტეს | 8 წლისა. |
| მეორე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 9 წლისა. |
| მესამე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 10 წილსა. |
| მეოთხე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 11 წილსა. |
| პირველი განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 12 წილსა. |
| მეორე კლასში | „ „ | არა უმეტეს | 13 წილსა. |
| მესამე კლასში | „ „ | არა უმეტეს | 14 წილსა. |

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოწმობა იმისა, რომ ბანკის დამფუძნებელთაგანია, და აგრეთვე მაზრის მარშლისაგან სიღარიბის მოწმობა. ესევე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარს ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზე შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება გამოცხადების დღიდგან მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной, въ д. Гургенбекова.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 26 რიცხვიდგან და გაგრძელდება პირველ სექტემბრამდის.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანათია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერი მოვალეა, დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარიც იანვარში.

მშობელნივალდებულნი არიან, შვილები რიგიანად ჩაცმულნი მოიყვანონ თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთებიც არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობელთაგანი ტფილისში არ ცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერი ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარუდგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება აღასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ ყმაწვილისა, რომელსაც ჰთავდებობს.

შენიშვნა: ნახევარს ხარჯზედ მიიღებიან ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის თავად-აზნაურთა შვილები.

(3—83—2)

# პროგრამა

## ტფილისის სათავად-აზნაურო მოსამზადებელ კლასებისა.

### I განყოფილება

პირველს განყოფილებაში შემომსვლელმა ყმაწვილმა უნდა იცოდეს ქართული წერა-კითხვა და თვლა ოცამდის.

### II განყოფილებაში შემომსვლელთათვის.

#### 1) საღმრთო სჯული.

შემოკლებული მოთხრობანი ძველ და ახალ აღმთქმიდგან (იხილე „დედა-ენაში“ მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდგან). ლოცვები: დაწყებითი ლოცვა, სამების ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, ლოცვა მეფისა და მამულისათვის.

#### 2) ქართული ენა.

კითხვა და წაკითხულის თავისის სიტყვებით გარდმოცემა, ზეპირად ცოდნა იმ ლექსებისა და პასუხის მიგება იმ სასაუბროებზედ, რომელნიც მოქცეულნი არიან „დედა-ენის“ მესე გვერდამდე.

#### 3) რუსული ენა.

ცოდნა იმ სიტყვებისა და ფრაზებისა, რომელნიც მოქცეულნი არიან იაკობ გოგებაშვილის რუსულ ენის სახელმძღვანელოს ლექსიურს განყოფილებაში.

#### 4) არითმეტიკა.

ყოველ-მხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დგან 20-დე. ყმაწვილებს უნდა შეეძლოთ: შეერთება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. უნდა იცოდნენ აგრეთვე ხშირად სახმარებელი ზომები.

### III განყოფილებაში შემომსვლელთათვის.

#### 1) საღმრთო სჯული.

მოკლე მოთხრობანი ძველის აღთქმისა. ლოცვები: სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის, ლოცვები დილისა და საღამოსი (სახელმძღვანელო. გ. იოსელიანისა „ლოცვანი მოსამზადებელის კლასებისათვის“).

#### 2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის თავისის სიტყვებით გარდმოცემა იმ მოთხრობებისა, რომელნიც მოთავსებულნი არიან „ბუნების კარის“ პირველს ორს განყოფილებაში, ე. ი. მოთხრობანი მცენარებსა, შინაურს ცხოველებზსა და ფრინველებზედ; აგრეთვე იმავე წიგნის იმავე განყოფილებაში მოქციულის ლექსების ზეპირად ცოდნა.

#### 3) რუსული ენა.

წერა-კითხვა რუსული, თარგმნა ფრაზებისა რუსულიდგან ქართულად და ქართულიდგან რუსულად. („Русское слово“ Я. Гогебашвили). ამას გარდა უნდა ჰქონდეთ შესწავლილი ხსენებულს სახელმძღვანელოში არა ნაკლებ 50 სტატიისა ისე, რომ შეეძლოთ ყოველის სიტყვისა და წინადადების გადმოთარგმნა რუსულიდგან ქართულად და სტატიის შინაარსის გადაცემა რუსულად. კარნახით წერა ნასწავლის სტატიებისა.

#### 4) არითმეტიკა.

ყოველ მხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დგან 100-დის და ხშირად სახმარებელის ზომების ცოდნა. ტაბულა გამრავლებისა (სახელმძღვანელო „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა“, რ. ჯაჯანაშვილისაგან შედგენილი).

### IV განყოთილებაში შემომსვლელთათვის.

#### 1 საღმრთო სჯული.

მოთხრობანი ახალის აღთქმიდგან ქართულად და რუსულად, ლოცვები რუსულად და ქართულად. რუსულად: დაწყებითი ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილის შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, მეუფის ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის. ქართულად: დილის ლოცვა, საღამოს ლოცვა, ათი მცნება, სიმვოლო სარწმუნოებისა (სახელმძღვანელო „საღმრთო ისტორია“, გ. იოსელიანისა).

#### 2) ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და გარდმოცემა წაკითხულის სტატიებისა თავისის სიტყვით. ლექსები. ზეპირად დასახელება წინადადების ნაწილებისა და სიტყვის ნაწილებისა (სახელმძღვანელო „ბუნების კარი“).

#### 3) რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის ახსნა ქართულად და რუსულად; ერთის სიტყვის ან ფრაზის მაგიერად მეორე მსგავსის სიტყვის და ფრაზის ხმარება. წერა კარნახით (სახელმძღვანელოდ იხმარება „Родное Слово“, годъ второй, საიდგანაც უნდა შესწავლილი ჰქონდეს ყველა პატარა მოთხრობანი და ლექსები ზეპირად წიგნის მესე გვერდამდე).

#### 4) არითმეტიკა.

საზეპირო და წერითი ანგარიში რიცხვებზედ 1—10,000 (ათი ათასამდე ქართულად და რუსულად; ოთხი უმთავრესი მოქმედება (შეერთება, გამოკლება, გამრავლება ერთ ნიშნოვანს რიცხვზედ, გაყოფა ერთ ნიშნოვანს რიცხვზედ, ცოდნა გამრავლების ტაბულასი და ხშირად სახმარებელ ზომებისა. რუსულად ახსნა საზეპირო ამოცანებისა 1—1,000 (ერთიდგან ათასამდის) (სახელმძღვანელოა „Сборникъ ариѳметическихъ задачъ“ Евтушевскако, часть 1).

მენიშვნა: პირველის პროგიმნაზიულის კლასიდგან დაწყებული ყველა პროგიმნაზიულს კლასში მიღებულია საერო განათლების სამინისტროს პროგრამები. ქართული ენიდგან უნდა იცოდნენ პირველს კლასებში შემომსვლელებმა: 1) გარკვევით კითხვა, წაკითხულის გარდმოცემა თავისის სიტყვებით; 2) გრამატიკიდგან: მარტივ წინადადების ნაწილები და ეტიმოლოგიიდგან სიტყვის ნაწილების გამოცნობა.

(1—84—1)


Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე